



საინფორმაციო ბიულეტენი #11

მის: შიო მღვიმელის ქ.#68
e-mail: ethicscharter@gmail.com

ქარტიის წევრთა საერთო კრება გაიმართა

საბჭოს საქმიანობა



24 დეკემბერს საქართველოს ჟურნალისტურმა ეთიკის ქარტიამ საერთო კრება გამართა. ქარტიის წევრებმა მოისმინეს აღმასრულებელი დირექტორისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებები, იმსჯელეს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებსა და წესდებაში შესატან ცვლილებებზე.

საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე:

- შპს GWP მაია ფურცელაძის წინააღმდეგ
- თამარ შონია ელისო კილაძის წინააღმდეგ
- პაატა ლაგვილავა ელისო კილაძის წინააღმდეგ

საბჭოში განსახილველად შემოვიდა შემდეგი განცხადებები:

- ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი ტელეკომპანია „იბერიის“, წინააღმდეგ;
- თორნიკე დევაძე Presa.ge - ს წინააღმდეგ
- გიორგი მდინარაძე ჟურნალისტ მირიან ბოქოლიშვილის წინააღმდეგ.



საერთო კრებაზე ქარტიის საბჭოს ახალ წევრებად გიორგი მგელაძე (სტუდია მონიტორი), თეა ზიბზიბაძე (ქუთაისიპოსტი) და თამარ უჩიძე (სამხრეთის კარიბჭე) აირჩიეს. მათ საბჭოში ჩაანაცვლეს ნინო ზურიაშვილი, ირინა ყურუა და ნინო ნარიმანიშვილი, რომელთაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ. თავის მხრივ, ქარტიის საბჭომ ახალ თავმჯდომარედ გიორგი მგელაძე აირჩია.

საბჭოს შემადგენლობა 2017 წლისთვის ასეთია: გიორგი მგელაძე, მაია მეცხვარიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ნინო ჯაფიაშვილი, ჯაბა ანანიძე, გერონტი ყალიჩავა, მაია მამულაშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე

ქარტიის პრიზი 2016-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ



- **საუკეთესო სტატია** – თამუნა უჩიძე – სადავო სამკვიდრებელი (სამხრეთის კარიბჭე);
- **საუკეთესო მულტიმედია პროექტი** – ნეტგაზეთი, პროექტი "უჩინრები";
- **საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება** – ნინო რამიშვილი, გიორგი მგელაძე – აგენტი პროვოკატორი ხელსუფლების სამსახურში 2 (სტუდია მონიტორი);
- **ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქება** – სასკოლო განათლება "რეალურ სივრცეში" (საზოგადოებრივი მაუწყებელი);
- **ქალთა უფლებების მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემის წარმოჩენაში ქარტიის და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის სპეციალური პრიზი გადაეცა აიდა მირმაცხაშვილს სტატიისთვის "საქართველოში გოგონათა წინადაცვეთის ფაქტები გამოვლინდა" (ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი).**

გავრცელებული განცხადებები

კოალიციამ მედია ადვოკატირებისთვის გაავრცელა განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აღმასრულებელი დირექტორის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით და მაუწყებელს პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისკენ მოუწოდა.

ბავშვთა საკითხების მედიამონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდა



ეთიკის ქარტიამ ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში წარადგინა. პროექტის ფარგლებში ქარტიის მედიამონიტორინგები ქართულ ბეჭდურ, ონლაინ და ტელე მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების ტენდენციებს აკვირდებოდნენ. გარდა ანგარიშისა, მომზადდა სახელმძღვანელო წესები ჟურნალისტებისთვის. პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

ქარტიამ საპარლამენტო არჩევნების ფინალური შედეგები წარადგინა



ქარტიამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქების მედიამონიტორინგის შედეგების საბოლოო ანგარიში წარადგინა. პსატელევიზიო მედიამონიტორინგს ქარტია UNDP-ს პროექტის ფარგლებში 20 მაისი- 2 ნოემბრის პერიოდში ახორციელებდა.